

# ანტისემიტიზმის საფუძვლები ადრეულ ქრისტიანობაში

ცვატა ბერძენიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ სონღულაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სთანადო წესების შესაბამისად

ცვატა ბერძენიშვილი

19.06.2018

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ანტისემიტიზმის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები და შედეგები. ნაშრომის არკვევს, ვხვდებით თუ არა ადრეულ ქრისტიანულ ტექსტებში ანტისემიტიზმის საფუძვლებს, რა ძირითად ბრალდებებს უყენებენ ებრაელებს და როგორ გამოიხატებოდა ის სხვადასხვა ეპოქაში.

ანტისემიტიზმის ისტორია ქრისტიანობის შექმნიდანვე იწყება. ორი ძირითადი ბრალდება, რაც ებრაელების მიმართ ისმის, არის (1) ქრისტეს მკვლელობა და (2) მისი უარყოფა. თუმცა, ახალი აღთქმის ტექსტების ანალიზი და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება ცხადყოფს ამ ბრალდებების აბსურდულობას - ქრისტეს სიკვდილზე მთავარი პასუხისმგებლობა რომაელებს და ებრაული სასულიერო ელიტის ზოგიერთ წარმომადგენელს ეკისრება და არა ზოგადად მთელ ერს. ასევე, თავად ქრისტე, მისი მოციქულები, მოწაფეები და პირველი ქრისტიანებიც ებრაელები იყვნენ, ამიტომ საუბარი ებრაელთა მიერ მის უარყოფაზე, არარელევანტურია.

სახარებების ანალიზი აჩვენებს, რომ ანტისემიტური ნარატივის შექმნასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ლუკას და იოანეს. თუკი მარკოზისა და მათეს სახარებებში კონკრეტულად არიან დასახელებულნი ის პირები, ვინც ქრისტეს უპირისპირდებოდა და მისი დალუპვა სურდა (ებრაელთა სასულიერო ელიტა), ლუკა და იოანე უფრო ზოგად ტერმინებს იყენებენ - „ხალხი“ (ლუკასთან) და „იუდეველები“ (იოანესთან). მათი ტექსტების გამოკვლევა აჩვენებს, რომ მიუხედავად ამ განზოგადებული სიტყვებისა, ისინი, სხვა ავტორების მსგავსად, კონკრეტულ პირებს გულისხმობენ, თუმცა მკითხველის გონებაში ეს ტერმინები ტოვებს განცდას, რომ ზოგადად ებრაელი ერი იყო ქრისტეს მოწინააღმდეგე.

ზემოხსენებული ნარატივები მოგვიანებით კარგად გამოიყენეს ადრეული ხანის ქრისტიანმა თეოლოგებმა და სწავლულებმა ებრაელებთა დემონიზებისთვის, რამაც მათი მრავალსაუკუნოვანი ტანჯვა და დევნა გამოიწვია, რომელიც დღემდე გრძელდება. ჰოლოკოსტის დროსაც კი, ნაცისტები უძველეს ქრისტიანულ წარმოდგენებს ეყრდნობოდნენ და ამით ამართლებდნენ თავიანთ ქცევას.

**საკვანძო სიტყვები:** ქრისტიანობა, ანტისემიტიზმი, ებრაელები, ჰოლოკოსტი, სახარებები;

## Abstract

This study deals with the history of anti-Semitism with various stages of its development throughout the years and its consequences. The thesis asks a question whether the foundations of anti-Semitism could be identified in the early Christian texts. It takes closer look at the main accusations against Jews and how they have evolved in the course of history.

History of anti-Semitism starts right at the beginning of Christian history. These are the two main accusations that are usually used against Jews are: (1) a murder of Christ and (2) rejection of his Messianship. However, New Testament texts analysis along with the consideration of historical context show that these allegations are absurd - the main responsibility for the death of Christ rests both with the Romans and some representatives of the Jewish religious authorities and not with the whole Jewish nation as such. Moreover, Christ himself, his apostles, his disciples, and the early Christians were Jews, therefore talking about rejection of his Messianship by Jews is irrelevant.

Analysis of the Gospels show that Luke and John have significantly contributed to the formation and development of anti-Semitic narrative. If the Gospels of Mark and Matthew specifically named those who opposed Christ and wanted to destroy him (Jewish religious authorities), Luke and John used more general terms like “the crowd” (Luke) and “Jews” (John). The examination of their texts show that in spite of these generalized words, they, like other authors, refer to specific individuals, but in the reader's mind these terms leave the feeling that the Jewish nation in general was a rival of Christ.

The above mentioned narratives were later used well by the early Christian theologians and scholars for demonizing Jews, causing them many centuries of suffering and persecution with regrettably still continues. Even during the Holocaust, the Nazis relied on ancient Christian beliefs in order to justify their attitude towards the Jews.

**Keywords:** Christianity, Antisemitism, Jews, Holocaust, Gospels;